ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 7 1883—1900 15 აპრილი

ქრისტე აღსდგა!

ღსდგეს ადამიანი, ცოდვებით დაწყლულებული, დაიბრუნოს დაკარგული მსგავსება ღვთისა, განუახლდეს მას დაცემული მისი ბუნება.

ქრისტე აღსდგა!—გამეფდეს კაცთა შორის სიყვარული და მშვიდობა, სათნოება და ერთსულობა, უფლის მიერ ნამოძღვრებნი.

ქრისტე აღსდგა!—აღდგინდეს მჯიდრო ცხოველი კავშირი ღმერთსა და კაცთა შუა, სამოთხეში არსებული, და მადლ მოსილმა ადამიანმა კვლავ მოიპოვოს ჭეშმარიტი ბედნიერება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე აღსდგა!—კვლავ უგალობონ მაცხოვარსა იმ ქვეყნებში, სადაც ერთ დროს აღავლენდნენ მისადმი ღაღადებ-ვედრებას, ისევ აღიმართოს აიასოფიის დიდებულ ტაძარზე მლევამოსილი ჯვარი ქრისტესი, და ჩვენს მესხეთ-აჭარა-საინგილოში გაისმას ხმა ნეტარი: ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა!—აღსდგეს მთელი კაცობრიობა და ერთითა პირითა მეტყველობდეს: ქრისტე აღსდგა!

კაჭახიძე.

გოლგოთამდე.

მოადგა დრო, როცა უნდა შესრულებულიყო დიდი საქმე ყველა ხალხთა ცხონებისა,—დრო ტანჯვათა და ჯვარზე სიკვდილის ღმრთის განხორციელებული ძისა. ღამის მყუდროება და სიწყნარე მეფობდა გეთსამანიის ბაღში, მაგრამ ამ ხანად არ იყო მოსვენებულება იესოს სულში. მაცხოვარი შევიდა გეთსამანიის ბაღში, თან შეიყვანა მარტო სამი მოწაფე: პეტრე, იაკობი და იოანნე და მაშინვე, როგორც მოგვითხრობს წმ. სახარება, იწყო მწუხარება, ნაღვლობა და კრთომა. მოლოდინი რაიმე აუცილებელი უბედურებისა, საოცარი განსაცდელისა, აუცილებელი დასჯისა თავზარს სცემს ჩვენს გულს, რომელიც ივსება ძლიერი მწუხარებით და გულის შემხუთავი ნაღველით. და ასეთ მდგომარეობაში ჩვენ ვეძიებთ ამ ჩვენ მწუხარებათა ცოტაოდენ შემსუბუქებას ჩვენ მახლობელ პირთა შორის. თავის მძიმე მწუხარებისა და ურვის დროს მაცხოვარი ეძიებს დახმარებას და ნუგეშს თვის მოწაფეებში, რომელთაც მიმართავს შემდეგი სიტყვებით: შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილადმდე, დაადგერით აქა, და იღვიძებდით ჩემთანა, რქვა მან მათ, შემდეგ წარვიდა მცირედ და იწყო ლოცვა.

მაგრამ ნუ თუ მარტო ხორციელ ტანჯვათა და ჯვარზე სიკვდილის მოლოდინი იყო მიზეზი იესოს ამ ჟამად მწუხარებისა და ურვისა? მართალია, კაცის ბუნება ყოველთვის გაურბის და ერიდება ტანჯვათა და სიკვდილს,—ეს ასეც უნდა იყოს, რადგან კაცი სიკვდილისა და ტანჯვათათვის კი არ არის შექმნილი, არამედ ცხოვრებისა და ნეტარებისათვის; მაგრამ ამ დროს უფლისა იესო ქრისტეს სულის ამგვარი მდგომარების მიზეზი იყო არა მარტო გარეგანი ჯვარი და სამარცხვინო სატანჯველი სიკვდილი, არამედ უმთავრესად—შინაგანი ჯვარი, ის სულიერი, უხილავი სხვათათვის, მწუხარებანი, როგორსაც სცდის კაცი, რომელიც განრისხულია ღვთისაგან ცოდვებისათვის. უცოდველმა იესო ქრისტემ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ნამდვილად მიიღო თავის თავზე კაცთა ნათესავის ყველა ცოდვები, და ამასთან ერთად ამ ცოდვების ყველა საოცარი შედეგი; იგი მარტო სახელით კი არა, თვით საქმით შეიქმნა ჩვენი გულისათვის ღვთის რისხვის საგნად, და ამ ჟამად იგი შეიქმნა მიტოვებულ, უარყოფილ ღვთის მიერ, თანამდები ღვთის მძიმე რისხვისა და დასჯისა; ამ დროს ყველა ხალხის ყველა ცოდვები ქრისტეს დააწვენ კისერზე, და როცა მისმა წმიდა სულმა იხილა თავის თავი დატვირთული ცოდვებით, იგრძნო მთელი დამნაშაობა ღვთის წინაშე, იგრძნო სინდისის ყველა ის საყვედურები, რომელნიც უსათუოდ თავსზარს სცემენ და გულსა სწყლავენ თითეული ცოდვილისას, წარმოიდგინა იმ ტანჯვათა საშინელება, რომელიც უსათუოდ ელიან ცოდვილთ, რომელნიც ამავე დროს გრძნობენ თავიანთ უძლურებას, რომ თავი იხსნან ეშმაკის უფლებისაგან, იგრძნო მთელი სიმძიმე ღვთის რისხვისა. მაცხოვრის ყოვლად წმიდა სულმა იგრძნო სიკვდილის საშინელება და სულის შემხუთავი მწუხარება, როცა თავის თავი იხილა დაფარული მთელ კაცთა ნათესავის ცოდვებით, და ამ ცოდვების საოცარი შედეგებით; მაცხოვარი სწუხს სულით სიკვდილადმდე, რათა ჩვენ გვიხსნას სულიერი მწუხარებისაგან და მოგვანიჭოს საუკუნო სიხარული. უფალი ემხობა მიწაზე და სთხოვს მამა ღმერთს შეწყალებას, რათა დაიფაროს იგი ტანჯვათაგან: მამაო ჩემო, უკეთუ ყოვლადვე შესაძლებელ არს შენ მიერ თანა წარსვლად სასუმელი ესე ჩემგან, არამედ არა რა იგი მე მნებავს

(მარკ. 14, 36). ეს გოდება, რომელიც მოისმა მწუხარებით აღვსილი სულისაგან, მოწმობს, თუ რა მძიმე და აუტანელი იყო მაცხოვრის სულიერნი მწუხარებანი, რომელთა გამო დაუძლურდა სული მისი,—ის, ვინც მოვიდა, რათა ეწამოს ხალხთათვის, ვინც თავისთავად მიიღო თვის თავზე კაცთა დამნაშაობა ღვთის წინაშე, იგივე სთხოვს ღმერთს, რათა მას ასცდეს ეს წვალება! მაგრამ ეს გოდება მაცხოვარში მოხდა იმის გამო, რომ დროებით თავი იჩინა კაცთა ბუნების უძლურებამ, მაგრამ უეცრად სულის ძლიერებამ სძლია სხეულის უძლურებას, კაცის მნებელობა ადგილს უთმობს ღვთის მნებელობას: „ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ», ამთავრებს თავის ვედრებას ღვთაებრივი ტანჯული. შეისმინა თუ არა ეს გოდება ძისა მამამან? ჯერ კიდევ არ ისმის პასუხი ვედრებაზე, არ შემსუბუქებულა სულიერი დაქანცულება ტანჯულისა, არ დაყუჩებულა შფოთვა და მღელვარება მის სულში. მწუხარებით დატანჯული იესო დროებით აჩერებს ვედრებას, მიდის მოწაფეებთან და მათ საზოგადოებაში ელის მოიპოვოს ცოტაოდენი სიხარული, მაგრამ მის მოწაფეებს ამ დროს ძინავთ. ცოტა ხნის წინეთ კი ეს მოწაფენი არწმუნებდნენ თავის მასწავლებელს, რომ იგინი მზად არიან თავი დასდონ მისთვის. რა სამძიმო და სამწუხარო არის ხოლმე ჩვენთვის, როცა ჩვენს მწუხარებას და უბედურებას გულცივად უცქერიან ჩვენი მახლობელნი, ისინი, რომელთაგან ველოდით შეწევნას და ნუგეშს,—და უფალმა იესომაც საყვედურით მიმართა მოწაფეებს და განსაკუთრებით პეტრეს, რომელიც ყველაზე უფრო არწმუნებდა უფალს, რომ თავს შეწირავდა მისთვის: „ესოდენ ვერ უძლეთ ჟამ ერთ მღვიძარებად ჩემთანა? იღვიძებდით და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა; სული გულს მოდგინე არს, ხოლო ხორცი უძლურ“ (მათ. 26, 40—41).

მაცხოვარი განეშორა მოწაფეებს, ხელახლა დავარდა მიწაზე და იწყო ვედრება, რომ ამ ვედრებაში მოიპოვოს ცოტაოდენი შემსუბუქება თვის ტანჯვათა. ამ ვვდრების დროს მაცხოვარი თავის თავში ნიშნავს რაღაც ცვლილებას,—იგი იმას კი აღარ ევედრება უფალს, რომ იგი დაიფაროს მან ტანჯვათა და ჯვარზე სიკვდილისაგან, არამედ იგი პირიქით გრძნობს ამ ტანჯვათა საჭიროებას და სრულიად ემორჩილება ღვთის ნებას. „მამაო ჩემო, უკეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანაწარსვლად ჩემდა, რათამცა არა შევსვი იგი, იყავნ ნება შენი!“ მაგრამ ამ ვედრებამაც სავსებით ვერ დაამშვიდა წამებულის სული. სულის მღელვარებისაგან დაქანცული იესო ხელახლად მიდის მოწაფეებთან, რათა მათ ვედრებაში მოიპოვოს ცოტაოდენი შეწევნა და სიხარული,—და ხელახლა იხილა იგინი მძინარე. იესომ მოწაფეები დასტოვა და ხელახლა მიმართა მამა ღმერთს ვედრებით და ახლა კიდევ უფრო ერთგულად იწყო ლოცვა და სრულიად მიანდო თავის თავი ღმერთს. და ეს ძლიერი გოდება წამებულისა, რომელიც ისე მხურვალედ ილოცვიდა, რომ მას, როგორც მოგვითხრობს მახარებელი ლუკა, სდიოდა ოფლი, ვითარცა ცვარი სისხლისა, გარდამომავალი ქვეყანასა ზედა (ლუკა 22, 44), შეისმინა ზეციურმა მამამ, ზეციური მახარებელი, ანგელოსი ნუგეშინისმცემელი გამოეცხადა მაცხოვარს და გაამხნევა იგი. ვედრებამ გამოიჩინა თავისი ძალა: დასრულდა სულიერი ღელვა, სრულიად დამშვიდდა შეძრწუნებული სული წამებულისა და იგი მამაცურად და თავის ნებით ეძლევა ბოროტ მტერთ.

ეს ვედრებითი ღვაწლი ჩვენი მაცხოვრისა გეთსამანიის ბაღში, ეს სულიერი მღელვარება იესოსი გვასწავლის ჩვენ, თუ სად და როგორ უნდა ვეძიოთ შემსუბუქება და ხსნა სხვა და სხვა უბედურებათა და განსაცდელთაგან და რით უნდა ვსძლიოთ იგინი. «ისე არსა არ მაკვირვებს მე სიდიადე და სიწმინდე იესოსი, ამბობს ნეტარი ავგუსტინი, როგორც აქ, სადაც მრავალნი ცვიფრდებიან და ვერ მიმხვდარან. მე არ მეკოდინებოდა მის კეთილ საქმეთა სიდიადე, თუმც იმას არ დამტკიცებია ჩემს წინაშე, თუ რა ულირდა მას ეს ტანჯვანი და წამებანი. მან გამოსცადა ჩემი მწუხარება, რათა მომანიჭოს მე თვისი სიხარული. თამამად ვამბობ: მწუხარება, ვინაიდგან ვქადაგებ ჯვარს. იგი თანამდებ იყო დაეთმინა მღელვარება და წამებანი: უამისოთ არც ძლევა შეიძლებოდა, უგრძნობელობა ყოველთვის დაბლა დგას თავის განწირულებაზე; იესოს უნდოდა ესწავლებია ჩვენთვის, თუ როგორ უნდა ვძლიოთ ხოლმე შიში სიკვდილისა».—„რომ ჩვენ არ გვეხილა ჩვენი მაცხოვარი გეთსამანიის ბაღში, შეგვეძლო გვეფიქრნა, რომ მისთვის საძნელო არ იყო ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნებათა ატანა. და თუ იყო, არც მაგდენად ძნელი; ვიფიქრებდით, რომ ღვთაება, რომელიც მასთან იყო შეერთებული, სძლევდა ამ წამებათა და სიკვდილს. მაშინ ყოველგვარი რჩევანი, რათა მიგვებაძა მაცხოვრისთვის, დაკარგავდნენ იმ ძალას, რომელიც აქვსთ დღეს. მაგრამ ახლა ჩვენ ვხედავთ სისხლის ოფლის ცვრებს, გვესმის ოხვრანი: რათა აცდეს მას სასუმელი იგი; ვიცით, რომ მწარეა ეს სასუმელი — და კრძალვით ვართ მის წინაშე, ვინც შესვა იგი ჩვენი გულისათვის. როცა ჩვენც შეგვემთხვევა რაიმე განსაცდელი, ჩვენ უნდა დავდგეთ იმ ხატის წინაშე, რომელზედაც დახატულია იესო, როცა ის ლოცვილობს, დაუკვირდეთ იმ სსმჟლს, რომელიც მოევლინა მას ზეცით, დავარდეთ მიწაზე ზეციური მამის წინაშე და მხოლოდ შობილის სიტყვებით ვთქვათ: „წარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ისე, როგორც ჩვენ გვსურს, არამედ როგორც შენ: რათა იყოს ნება შენი“. მამა იცნობს თავის ძის სიტყვებს, თუ ჩვენი გული არ უღალატებს ამ სიტყვებს, შეისმენს ჩვენს ვედრებას, როგორც შეისმინა ვედრება მხოლოდ შობილისა, — და სინდისის სიმშვიდე, მყუდროება გულისა იქნება ჩვენთვის გამამხნევებელი და მანუგეშებელი ანგელოზის მაგიერი.

ვერსად ვერ ვპოებთ ჩვენ სრულს ნუგეშს და შემსუბუქებას ჩვენს მწუხარებასა და უძლურებაში, გარდა ლოცვისა. რაც უნდა უყვარდეთ ჩვენ კაცთ, რაც უნდა გულ-წრფელად სურდესთ მათ ჩვენი შეწევნა, ხშირად არ შეუძლიათ თავისი სურვილი განახორციელონ. აი სამი საყვარელი მოწაფე უფლისა; მათ მხურვალედ უყვარდათ თავისი მასწავლებელი, იგინი გულ-წრფელად აღვიარებდნენ, რომ მზათ არიან თავი შესწირონ ქრისტესათვის, მათ გულით სურდათ ეს; მაგრამ როცა დადგა დრო ამ სურვილთა აღსრულებისა, ვერ სძლიეს ძილს და შიშს. სული მათი მხნე იყო, მაგრამ სხეული უძლურ და ამან მოუშალა მათ ცოტა ოდნად მაინც შეემსუბუქებიათ სულიერი მწუხარებანი თავისი საყვარელი მასწავლებლისა. ჩვენც, ძმანნო, ხშირად გულ-წრფელად გვსურს და სიტყვას ვიძლევით, რომ ვისმეს სიკეთე უქნათ, მაგრამ უმეტესად ჩვენი სურვილი მარტო სურვილად რჩება და საქმით კი ვერაფერს ვშვრებით. მხოლოდ ლოცვით და ღვთის შეძლებით ჩვენ მიერ დაწყებული კეთილი საქმე მთავრდება სასიკეთოდ, ამიტომ არას დროს არ უნდა დავიქადოთ მედიდურად: აი, მე ამას და ამას მოვიქმედებ და მოვიქმედ ყველასათვის ამა და ამ სასარგებლო საქმესო და დღე კეთილობას მოუპოვებ მრავალთ. ასე ნუ იტყვი, და თუ მართლა გინდა შეასრულო შენი კეთილი განზრახვა, პირველად გულ-მოდგინეთ შეევედრე უფალს, რომ იგი შეგეწიოს შენ და ძლიოს ყოველივე დაბრკოლებანი, სძლიოს უძლურებანი სხეულისა, გამოითხოვე კურთხევა ღვთისა შენი კეთილი საქმისათვის, ეცადე ამასთანავე არა შენი დიდებისათვის, არამედ ღვთის დიდებისათვის — და ღვთის მიერ ნაკურთხი და მისივე შემწეობით ნაწარმოები კეთილი საქმე დასრულებულ იქნება ისეთი წარმატებით, რომელსაც შენ არც კი მოელოდი; სულ მცირე საქმე, თუ იგი ამ გვარად იქნა წარმოებული, გაღორძინდება დიდ ხესავით, რომელიც განიერად შლის თავის ტოტებს, ვრცელი ნაკადულით გარე მოედინება მორეულს სივრცეს, და დაამშვიდებს, ნუგეშს ცემს და მრავალ მოძმეთ მოსწმენდს ცრემლს.

იმ დროს, როცა ბაღის მყუდროებასა და სიწყნარეში ყველასაგან მიტოვებული ქრისტე ითმენდა მღელვარებას და სულიერ მწუხარებათა, მისი ბოროტი მტრები უკვე უახლოვდებოდნენ მას, რათა შეეპყრათ იგი და მიეცათ სასტიკ წვალებათა და სიკვდილისათვის. გაათავა თუ არა მაცხოვარმა ვედრება, მაშინვე მღვდელ-მთავრების მოსამსახურეთა ბრბო რომაელ მხედრებითურთ, რომელთაც წინ უძღოდა იუდა, შევიდა ბაღში. გამხნევებულმა და ნუგეშ ცემულმა ლოცვით, მაცხოვარმა ჩვენმა, რომელმანც იცოდა, რაც ელოდა მას, მამაცურად გასწია მტერთა მისაგებებლად. მივიდა თუ არა მძინარე მოწაფეებთან, რქვა მათ: თქვენ კიდევ გძინავთ და განისვენებთ, მაგრამ საქმე უკვე გათავებულია, აჰა ესერა, მოახლოებულ არს ჟამი, და ძე კაცისა მიეცემის ხელთა ცოდვილთასა; აღსდეგით, წარვედით ამიერ; აჰა ესერა, მოიწია მიმცემელი ჩემი. სთქვა თუ არა ეს, უფალი წარვიდა მტრებთან, რომელთაც წინ მოუძღოდა იუდა, რომელსაც ნაჩვენები ჰქონდა მხლებლებთათვის, რომ მათ შეიპყრან ის, ვისაც ის ამბორს უყოფს, იუდა სიჩქარით მიუახლოვდა იესოს. უსამზღვრო მოწყალე უფალს ახლაც კიდევ სურდა, რომ დაეხსნა საბრალო მიმცემელი იუდა და მშვიდობიანის ხმით ჰკითხა მას: ჩემო მეგობარო, რა გი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შენ აქ? ამ მშვიდობიანმა კითხვამ ძლიერ შეაშფოთა მიმცემელი, მან არ უწყოდა, რა მიეგო და აღელვებულმა ძლივს-ღა წაიბუტბუტა: „მოძღვარ, მოძღვარ, გიხაროდენ“ —და ამბორს უყო მას. მოწაფის ამ გვარმა თავხედმა პირ მოთნეობამ, რომელმაც (მოწაფემ) გულ-წრფელი სიყვარულების და ძმობის გამომხატველი ნიშანი იხმარა სამარცხვინო გამცემლობის ნიშნად, ძლიერ აღაშფოთა გული იესოსი და მან სამდურავით რქვა მას: „იუდა, ამბორის ყოფითა მისცემ ძესა კაცისასა? მაგრამ ყოველივე საშუალებანი, რათა ჰკუას მოგებოდა და თავი დაეხწია წარწყმედისაგან საბრალო მიმცემელს, უსარგებლო შეიქნენ, —მიმცემლის გული გააქვავა ვერცხლის მოყვარებამ და ამიტომ იუდამ ველარ შეიძლო მონანება.

ჩვენ ზიზღსა გვრის იუდას ეს საზიზღარი საქციელი... მაგრამ უფრო ყურადღებით ჩაუკვირდეთ ჩვენს თავს, შევეკითხოთ ჩვენს სინიდის, ნუ თუ ჩვენც ხშირად არ ვბაძავთ მიმცემელ იუდას? ნუ თუ ჩვენც ხშირად არ შეგვიპყრობს ხოლმე ვერცხლის მოყვარება, სხვა-და-სხვა პიროვნული სარგებლობანი და არ ვღალატობთ თვით ჩვენს ძლიერ საყვარელ მახლობელთაც-კი, მზად ვართ გავსწყვიტოთ ნათესავური კავშირი, ვიპირ-მოთნეოთ და ვიცრუ-

ლოცვა გეთსამანიის ბაღში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთ? ნუ თუ ჩვენც ხშირად გარეგანი შეხედულობით, მოფერებით და კოცნით მეგობრულად არ ვეპყრობით ჩვენს მოყვასთ, მაგრამ ამავე დროს გულში ვიფარავთ მათდამი მტრობას და სიძულვილს? დიდი დამღუპველია ვეცხლის მოყვარების სურვილი?. აღრჩეული მოწაფე, რომელიც მუდამ ჟამს იესოსთან იყო, რომელიც ისმენდა მის მოძღვრებას, რომელიც ხედავდა მის წმიდა ცხოვრებას, მის სასწაულებს, რომელმაც სხვა მოწაფეებთან ერთად მიიღო მადლი სასწაულების ქმნისა და რომელიც იქმოდა სასწაულებს იესოს სახელით, ამ ვეცხლის სიყვარულმა მიაცემია მას იესო, დაახშო მის გულში ყოველივე კეთილი.

მოწყალე უფალს ჩაუგონებლად არ დაუტოებია არც სხვები, რომელნიც იუდასთან ერთად მოვიდნენ. მას სურდა ყველასათვის ეჩვენებია, რომ იგი სრულებით თავის ნებით ეძლევა მტრებს, მაგრამ ამავე დროს იჩენს თავის ღვთაებრივ ძალას და უფლებას. იგი მოუბრუნდა შეიარაღებულ ბრბოს და ჰკითხა მათ: ვის ეძიებთ? და მათ რქუეს მას: იესუ ნაზარეველსა. რქუა მათ იესუმ: გარქუ თქუენ, ვითარმედ მე ვარ. უკეთუ მე მეძიებთ, უტევენით ესენი წარვიდნენ (იოან. 18). „ოჰ უგნურებავ! ამბობს წმ. ოქროპირი, მაცხოვრის სიტყვამ დაამხო ისინი მიწაზე; მაგრამ იგინი მის შემდეგაც კი, როცა უკვე გამოცადეს ასეთი ძლიერი ძალა, არ მოეგენ ჭკუას, არამედ ისევ გაეშურენ იესოსკენ. მაცხოვარმა პირველად მოიქმედა ყოველივე ის, რასაც უნდა ჩაეგონებია მათთვის, რომ თავი დაენებებიათ განზრახული საქმისათვის და როცა იხილა, რომ ისინი შეუსმენენი დარჩნენ, მისცა მათ თავის თავი: მაცხოვრის მზრუნველობამ მის მოწაფეთა ზედა და ამასთან ერთად შეიარაღებული ბრბოს სულ-მოკლე სიხარულმა აიძულეს მოწაფეები რათა დაეფარათ თავიანთი მოძღვარი. ნუ თუ არ მოვსრნეთ ესენი მახვილითა? ამბობენ თვის შორის მოწაფენი, ხოლო ფიცხმა პეტრემ იშიშვლა ხმალი და მოჰკვეთა ყური მღვდელმთავრების ერთ მოსამსახურეთაგანს. მოწაფეთა მზგავსი საქციელი გვიმტკიცებს, რომ მათთაც არ ჰქონდათ სისრულით შეგნებული თავისი მასწავლებლის ვინაობა, და უფალი მაშინვე აგებინებს მათთაც, რომ იგი, როგორც ძე ღვთისა, საჭიროდ არ რაცხს კაცის მხრივ თავის დაფარვას, რომ იგი თავის ნებით არ მიცემოდა მტერთ, მათ არ შეეძლოთ ძალით შეეპყრათ იგი, რომ საჭიროების დროს მის დასაფარავად გამოცხადდებოდნენ მრავალი ანგელოსები. ამიტომ მისი მოწაფეებისთვის საჭირო არ არის მიმართონ იარაღს, წინა აღუდგნენ მთავრობას, და ამის გამო მიეცნენ კანონიერ სასჯელს. მიაქციე მახვილი შენი ადგილსავე თვისსა, რქუა უფალმა პეტრეს, რამეთუ ყოველთა, რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარსწყმდნენ. ანუ ჰგონებ, ვითარმედ ვერ ძალმიძს ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრავლესი ათ-თორმეტთა გუნდთა ანგელოსთა? და ვითარმედ აღესრულნენ წერილნი, რამეთუ ესრეთ ჯერ არს ყოფად? ამით მაცხოვარი უჩვენებს მათ, რომ ყოველივე ის, რაც მათ თვალ წინ ხდებოდა, ამბობს წმ. ოქროპირი, დამოკიდებულია არა მტრების ძალაზე, არამედ მის ნებაზე, და მასთან ერთად გვიჩვენებს, რომ იგი არ არის ღვთის წინააღმდეგი, არამედ მორჩილი და გამგონეა მამისა ვიდრე სიკვდილამდე. და მისი საქმე მაშინვე იქცა საქმედ.—იგი შეეხო მონას, რომელსაც ყური ჰქონდა მოკვეთილი და განკურნა იგი.

(გაგრძელება იქნება).

გოდება მოხუცისა.

მსწრაფლ მიფრინავს დრო, და მე ვუახლოვდები ამ ქვეყნიურ ცხოვრების ზღურბლსა, ჟამსა გარდასვლისა ამა სოფლიდან საუკუნოში. ხოლო, მოვემზადე მე, ცოტათი მაინც, იმ ქვეყანაში წასასვლელად; ვქენი რამე თვის სულის განათლიერებისათვის, რათა წარვსდგე წინაშე ღვთისა დამშვიდებულის სინიდისითა? რამდენიც უნდა ვათვალიერო ჩემი წარსული, მაინც ვერ ვპოულობ მასში ვერასფერს სასიხარულოსა, ვერასფერს იმისთანას, რომელიც მოწმობდეს ჩემს შეურყეველ მეცადინეობა-შრომასა ზნეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივ თვით გასწორებისათვის· მთელი ჩემი წარსული ერთიანად ბიწიერია. მართალია, ხშირად აღმეძრებოდა სურვილი კეთილ მოქმედებისა, მაგრამ რა არის მხოლოდ სურვილი კეთილის ქმნისა? სურვილი ესე, მსგავსად ცარიელ ხმისა, გაჩნდებოდა და მყისვე გაქრებოდა, ჩემს სულში არავითარ კვალს არ სტოვებდა, არ ბადებდა მასში ნათლიერ, კეთილ განწყობილებასა.

მსურდა განთავისუფლებულვიყავ ვნებათა სამარცხვინო მონობიდან, მაგრამ, სინამდვილეში მე არ მალმიძდა განმედევნა თვის არსებიდან, ანუ შემესუსტებინა რომელიმე ცუდი ჩვეულება. ყოველ შემთხვევაში, როცა აღმეძრებოდა ცოდვითი ზრახვა, ბიწიერი წადილი, ვხდებოდი მათი მსხვერპლი, ყოველი ჩემი შებრძოლება—წინააღმდეგობა მათთან იყო ამაო. მწადდა განმშვენებულვიყავ სახარებისებრივ ზნეობრივ სისრულითა, ვსჭვრეტდი ქრისტეს სათნოებათა, ვსტკბებოდი მათის ხილვით, გონების თვალითა, მათკენ ვილტვოდი, მაგრამ მათი განხორციელება მე არ შემეძლო. მინდოდა აღნთებულვიყავ ყველასადმი მხურვალე ძმურის სიყვარულითა, მოყვსის გულისათვის თავი შემეწირა, მაგრამ ჩემი თავმოყვარეობა ამ კეთილ სურვილს სდევნიდა. რამდენჯერ აღმითქვამს დამეწყო შეუპოვარი, შეუდრკელი ბრძოლა ბიწიერ მიდრეკილებებთან, დამემარცხებ..ნა ისინი. და კეთილისთვის ჩემს არსებაში ადგილი მიმეცა, მაგრამ ჩემი დაპირება რჩებოდა აუსრულებელი, ბოროტებასთან ბრძოლიდან ძლეული გამოვდიოდი. წარვმართავდი ჩემს გონებას ღვთისადმი და ზეციურ ქვეყნისადმი, განვიზრახვიდი ღვთის დიდებასა და მოქმედებაზე, ვკითხულობდი საღმრთო წერილსა და წმ· მამათა ნაწერებსა, მაგრამ ამაოდ, ღმერთ მზრახველობა არ ასუსტებდა ჩემში ბოროტ ჩვეულებათა მეფობასა, ვლოცულობდი, დიდების მეტყველებდი უფალსა, ვისმენდი ეკლესიურ ღვთის-მსახურებასა, მაგრამ სათნოება ჩემში არ ინერგებოდა, მხურვალე ლოცვის შემდეგ მყისვე ვხდებოდი მონა ბიწიერ აზრებისა და გრძნობებისა. იყო წუთები სულიერ განათლებისა, ვფრთოვანდებოდი, ვგრძნობდი ციურ სიტკბოებასა, აუცილებელ საჭიროდ ვსთვლიდი სოფლიდან განშორებასა და ღმერთთან შეერთებასა,—ეს იყო ღვთის მადლის ნეტარი ხმა, რომელიც მიწოდდა კეთილისადმი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ნათლიერი და ნეტარებითი მდგომარეობა სულისა იყო მოკლე ჟამიერი; მე არ ვუგონებდი ამ მადლის მოწოდებასა და თვის ბოროტებაში ვრჩებოდი:

ამნაირად, ჩემს ცხოვრებაში იყო მხოლოდ სურვილი კეთილ-მოქმედებისა და არა მისი განხორციელება, და მთელი ჩემი სიცოცხლე გავატარე ამ უთანხმოებაში სურვილსა და სინამდვილეს შორის, და ეს უთანხმოება ფრიად მტანჯავდა, ხოლო რისთვის არ მალმიძს ასრულება თვის კეთილ სურვილებიას, რისთვის არ შემიძლია განვახორციელო ის სათნოება, რომელსაც მე იდეიაში, გონებაში ასე თავშეუმაგრებლად ვესწრაფვი? ნუ თუ კაცს არ აქვს მინიჭებული ის ბედნიერება, რომ მან სათნოებანი შეითვისოს და გამოიჩინოს თვის ცხოვრებაში, ნუ თუ მას შეუძლია მხოლოდ მათი ჭვრეტა, მათკენ ლტოლვა, და არა მათი სისრულეში მოყვანა? მაგრამ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებელია. თუ ეოვლად სახიერმა ღმერთმან ერთსულ ჩაუნერგა ადამიანს სურვილი კეთილის ქმნისა, მაშასადამე ამასთანავე მ ნ უსათუოდ მისცა მას ნიჭიც შეძლება თვის კეთილ სურვილების აღსრულებისა. ღმერთს რო მიეცა ადამიანისათვის მხოლოდ სურვილი კეთილის ქმნისა და თან არ მიენიჭებინა მისთვის ძალა ამ კეთილ სურვილების ასრულებისა, ეს ის იქნებოდა, რომ მას ადამიანი გაეჩინა მხოლოდ ტანჯვისათვის. ამას გარდა, ხომ იეენენ ისეთი პირები, რომლებიც განშეენებულიეენენ ქრისტიანულ თვისებებითა, რომლებიც ცხად ეოფდენ თვის ცხოვრებაში ძალალ სათნოებათა. მაშ, რისთვის არ შემიძლია მე შეეისისსლხორცო კეთილი, გამოვიჩინო იგი თვის ნამდვილ ცხოვრებაში. სიემწვილეში, როცა ჩემის სულის ძალნი იეენენ ნორჩნი, რბილნი, მაშასადამე, ადვილ დასამორჩილებელნი, და შეიძლებოდა მათი გასწორება, მე უგულებელს ვეოფდი ზნეობითს თვით გაუმჯობესებასა, არ მიმეცადინებია მიმემართა ჩემი მნებელობა კეთილისადმი, არ მიხმარია ძალა, რომ უარი მეთქვა ბოროტ სურვილისათვის, ხოლო კეთილი წადილი-კი აღმესრულებია; ამ დროს განმავლობაში ჩემი ნება განმტკიცდა ბოროტისადმი მიმართულებაში. როცა დავვაჟკაცდი, შეეიგნე საჭიროება თვის ცხოვრების განახლებისა და მინდოდა ხელი მიმეეო ამ დიდ საქმისათვის, მე პირველ ცდაშივე დავრწმუნდი, რო უძლურ ვარ ვეომო ბიწიერ მიდრეკილებებსა, რადგან ჩემი ნება უკვე დამონებულია ბოროტების მიერ. და აი, რომ მე შემიძლია მხოლოდ ეისურვო კეთილი და მისი ასრულება კი არ ძალმიძს, ეს არის პირდაპირი სამწუხარო შედეგი იმისა, რომ მე ახალ-გაზდობაში არ ვეცადე შემექმნა ჩემს სულში ჩვეულება თვის კეთილ სურვილის განხორციელებისა და უკუ ქცევისა ცოდვითის წადილისა, არ მიშრომნია თვის გასწორებისთვის: ესლა, თქვენ მოგმართავთ რჩევით, უმაწვილებო! ჩემი მაგალითი იეოს თქვენთვის გაკვეთილად. თუ გინდათ აშორდეთ იმ ზნეობრივ ტანჯვასა, რომელშიაც მე ვიმეოფები, ეცადეთ ესლავე შეიძინოთ ის თვისება, რომ შეგეძლოსთ უარის თქმა ბოროტ სურვილისათვის და კეთილი წადილი კი განახორციელოთ; განამტკიცეთ თქვენი ნება კეთილისადმი მიმართვაში, შეიმუშავეთ თქვენი ზნეობრივი სასიათი, თორემ იცოდეთ შემდეგში ძლიერ გაიჭირდებათ ნების დამორჩილება, ბიწიერ მიდრეკილებების დათრგუნვა და სათნოებების შეეისება, და მაშასადამე, ჭეშმარიტ ბედნიერების მიეპოება; რადგან ზნეობრივი სრულ ეოფა არის აუცილებელი პირობა ბედნიერების დამკვიდრებისათვის.

კაჭახიძე.

ეეიძლება თუ არა ლოცვით განიკურნოს სნეული?

(დიდათ გამოცდილი ექიმის შენიშვნა).



წავლა სხეულის და სულის სიმრთელის დაცვისა მეიდროდ დაკავშირებულნი არიან ურთიერთ შორის. ეს უკვე დამტკიცებული ეეშმარიტებაა, რომელიც საოწმუნოდ მიეჩნიათ საექიმო მეცნიერების გამოჩენილ პირთ. მხოლოდ ის კაცი არის სრული ტანმრთელი, რომელიც სისრულით ასრულებს სწავლას სხეულის სიმრთელის დაცვის შესახებ, ზომიერად სჭამს და სვამს, ზომიერად შრომობს, თავის დროზე ისვენებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფთად იცავს თვის სხეულს, სადგომს და ტანთ-საცმელს, ერიდება გულის მოსვლას და თვის გულის ვნებათა ამყოლი არ არის. სულის სიმრთელის სწავლის აღსრულებლობა იმ გვარადვე, თუ მეტი არა, დამღუპველია სიმრთელის, როგორც ჩვენი სხეულის სიმრთელის სწავლის აღსრულებლობა.

დღეს საექიმო მეცნიერებას უეჭველ ფაქტად მიაჩნია, რომ ზოგ ავადმყოფთა მოსარჩენად მარტო აღნიშნულნი წამლები არ კმარან: საჭიროა ზედ-მოქმედება იქონიოს კაცმა სნეულის სულზე, საჭიროა დავაჯეროთ ავადმყოფი, რომ მისი სენის განკურნება შესაძლოა. გამოცდილებითაა დამტკიცებული, რომ ამ საშუალებით ისეთი ავადმყოფნი განუკურნებიათ, რომლებზედაც წამლებმა სრულიად ვერაფერი ვერ იმოქმედეს. ისინიც-კი დარწმუნდენ ამ ჭეშმარიტებაში, რომელთაც იგი დიდხანს არ წამდათ და უარსა ჰყოფდენ.

იმ საშუალებათა შორის, რომელთა მეოხებით შეგვიძლია ზედ-მოქმედება ვიქონიოთ სნეულის სულზე, პირველი ადგილი უჭერია ლოცვას. აწმყო საექიმო მეცნიერებას დღეს ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ ლოცვის საშუალებით მრავალი ავადმყოფნი განკურნებულან.

ლოცვის მკურნალებითი ძალა შეტყობილი ჰქონდათ ძველ დროშივე. რომ რიგზე ავწეროთ ის შემთხვევები, როცა ავადმყოფნი განკურნებულან ლოცვით, მოსეს დის მარიამიდან დაწყებული, რომელიც ავად გახდა კეთროვანებით და ლოცვით განიკურნა, ჩვენს დრომდე, ორ-სამ ვებერთელა წიგნში არ დაეტეოდა ყველა ასეთი შემთხვევები. ისო სირაქის სიბრძნეთა წიგნის მე-38 თავში არის ერთი შესანიშნავი ადგილი სამკურნალო მეცნიერების შესახებ. ბრძენი გვირჩევს მივმართოთ ექიმს, მაგრამ უნდა გვახსოვდესო, რომ ექიმის ხელით კურნებას გვანიჭებს ჩვენ უფალი, ზეციერი ექიმი და შემქმნელი ექიმთა: ადგილი მიეც ექიმს, ვინაიდგან იგი საჭიროა, მაგრამ ეევდრე უფალს, და ის გკურნებს შენ. ამ სიტყვებში მოკლედ და ცხადად არის ნაჩვენები ლოცვის დიდი მნიშვნელობა, როგორც მადლიანი საშუალებისა, რომელიც დიდად ეწევა სენთა ბუნებითი განკურნებას, და ზოგ შემთხვევებში ერთად ერთი საშუალება სენთა განკურნებისა არის ლოცვა, რომელიც იფარავს ავადმყოფს უდროვო სიკვდილისაგან. ამ ბოლო დროს ლოცვის მკურნალობითი მნიშვნელობას ყურადღება მიაქციეს ექიმებმაც. სხვათა შორის დოქტორის ე. ლორანოს თხზულებაში, რომელიც ნათარგმნია რუსულს ენაზე სახელწოდებით სიმკურნალე სწავლა სულისა, ნათქვამია, რომ ლოცვა არის დიდი მკურნალებითი საშუალება სხეულის და სულის ყოველგვარ ავადმყოფობის დროსო. მრავალ წლის სამკურნალო გამოცდილებამ და ღრმა ცოდნამ კაცის ბუნებისამ ავტორი მიიყვანა ამ დასკვნამდე: „როცა კაცი, რომელსაც ცოტაოდენად მგრძნობიარე გული აქვს, ამბობს ლორანო, მრავალი წლის განმავლობაში ასრულებდა ექიმის მოვალეობას, მისი სული ავსილი უნდა იყოს შებრალებით და მოყვასთა გულს შეტკივებით. მას თვალით ნანახი ჰყავს არა ერთი და ასი ავადმყოფი, რომელთაც დღეს უმოკლებს ავადმყოფობა! მას უნახავს, თუ როგორ სულმოკლეობას, სიმხდალეს და სისუსტეს იჩენენ ავადმყოფნი ბავშებივით, როგორ ოხრავენ და თრთიან, როცა გრძნობენ შეუბრალებელი სიკვდილის მოახლოებას. რაც უნდა მტკიცე ხასიათის იყოს ექიმი, რაც უნდა ექიმს თავი შეწირული ჰქონდეს საექიმო მეცნიერებისათვის, რაც უნდა დიდი ყურადღება ჰქონდეს მას მიქცეული იმ კითხვებზე, რომელნიც მან უნდა გადაწყვიტოს, რომელთა ზედა დამოკიდებულია მილლიონ კაცთა ბედ-იღბალი, მაინც მას არ შეუძლია არხეინად უცქიროს ავადმყოფთა წვალებას და მწუხარებას. მისი სული ისე არ გამოფიტდება, რომ არ აღივსოს სიყვარულით და არ შეებრალოს საბრალო ავადმყოფი. მისი გული ივსება სიბრალულით, იგი მზად არის აპატიოს კაცს მისი ყოველგვარი სისუსტე. იგი მზად არის მისცეს შემწეობა მწუხარე ავადმყოფს, შეუმსუბუქოს მას წვალება, და ანუგეშოს იგი, არ აგრძნობინოს მომაკვდავს სიკვდილის მოახლოება, დაატკბოს მისი უკანასკნელი და საშინელი წამები. ყოველივე საშუალებათ ხმარობს იგი, რომ გაამხნეოს საწყალი ავადმყოფი, რომელსაც კარზე ადგია სიკვდილი. ის დროებით არ დაეძებს მეცნიერების მოთხოვნილებათა მტკიცედ აღსრულებას, ოღონდ დროებით შეუმსუბუქოს ავადმყოფს საბრალო მდგომარეობა“. ექიმს არ შეუძლია მხედველობიდან გაუშვას, რომ სიხარული და იმედი არიან საუკეთესო წამლები ყოველგვარ სნეულებათა, და თუ კი ექიმმა შესძლო ამაებით ავადმყოფის გამხნევება, ბევრ შემთხვევაში ეს უმეტეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლობას მოუტანს ავადმყოფს, ვინემ სხვა ყველა საშუალებანი. ყველამ უწყით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დარწმუნებას, ზნეობითი გულის შეჯერებას ყოველგვარ ავადმყოფობის დროს საზოგადოდ და განსაკუთრებით ნერვების ავადმყოფობის დროს. ამ გამოცდილების შემდეგ, ძნელი დასაჯერებელი არ არიან ისეთი შემთხვევები, როცა მტკიცე სარწმუნოებაზე დამყარებულ ლოცვას დიდი მკურნალობითი ძალა გამოუჩენია არა მარტო სულზე, არამედ სხეულზედაც. ლოცვა იფარავს ავადმყოფს ზნეობითი წვალებისაგან და სულიერი სისუსტისაგან და შესამჩნევად აყუჩებს ძლიერ ტკივილებს როგორც სხეულისას, ისე სულისას. მართლაც, თუ კი ლოცვის საშუალებით სულს შეუძლია წინაალუდგეს დროებითს და წარმავალს, სუსტ სხეულს, ნუ თუ აქედან არ შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ სულს შეუძლია სძლიოს სხეულის წვალებას, ანუ შეაჩეროს სენის შემდეგი მსვლელობაც, ანუ შესამჩნევად შესცვალოს იგი? ფაქტები თვალწინა გვაქვს, ხოლო ამ ფაქტების წინაშე მნიშვნელობა ეკარგებათ თვით ახირებულ ეჭვებს, კიდეც რომ ეს ფაქტები განუმარტებელნი დარჩნენ. (დოქტორის ლიორანის სამკურნალო სწავლა სულის შესახებ. თარგმანი ვოლფსონისა. პეტერბურგი 1896 წ. გვერდი 3—4 და შემდ.).

„ღვთის სიტყვა“-ში პირდაპირ ნაჩვენებია, რომ ლოცვის საშუალებით მოევლინება კაცს მადლი ღვთისა, რომელიც კიდეც ჰკურნებს ავადმყოფს, სახელდობ ის ცხოველმყოფელი ღვთაებრივი მადლი, რომლის საშუალებითაც წმ. მოციქულები ჰკურნავდნენ სნეულთ. სხვათა შორის ასეთივე აზრი გამოთქმული აქვს ი. კირსანოვს წერილში, რომელშიაც აწერილი აქვს ეს კითხვა „სულის სასარგებლო საკითხავში“. „მკურნალებითი ძალა ლოცვისა,—ამბობს დასახელებული ავტორი,—არის ფაქტი სხმით გარდასვლითი, არის შედეგი იმისი, რომ ლოცვა უახლოვებს კაცს ღმერთს, წყაროს ცხოვრებისას, სიხარულისას და ძლიერებისას.

როგორც საექიმო მეცნიერების წარმომადგენელნი, ისე ღვთის-მეტყველნიც აღიარებდენ, რომ ლოცვას აქვს მკურნალებითი ძალა მხოლოდ მაშინ, როცა ავადმყოფს აქვს გულწრფელი სარწმუნოება. ზოგთ ასეთი სარწმუნოება აქვსთ ბავშობიდანვე, ხოლო სხვებს ასეთი სარწმუნოება ებადებათ მხოლოდ ავადმყოფობის დროს, ანუ მღვდლის და ექიმის შთაგონებით. მაგრამ აუცილებლად საჭიროა, რომ თვითონ ჩამგონებელს აქვნდეს მტკიცე სარწმუნოება; მისი სარწმუნოება, როგორც ელექტრონული ძალა, გადადის ავადმყოფზე. ამ შემთხვევაში მღვდლის მოვალეობა ძლიერ დიდია: მტკიცე სარწმუნოების მქონე მღვდელში ავადმყოფი ბევრს შემთხვევაში ჰპოებს საუკეთესო ექიმს, რომელსაც შეუძლია ავადმყოფის სულის და გულის შემსუბუქება ყოველივე მწუხარებისა და წვალებისაგან, ნუგეშობა მწუხარებასა შინა მყოფისა, გაამხნევოს იგი, ალავსოს იგი ნუგეშით, სიხარულით და ამაების წყალობით კიდეც განკურნოს სნეული. «ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი», არის ნათქვამი წმ. მოციქულის იაკობის ეპისტოლეში“.

შესანიშნავი სასტუმრო.

(მოთხრობა)

გაგრძელება [1])

—ღმერთო ჩემო, სთქვა სტუდენტმა: ეს ვალია ყოველი პატიოსანი კაცისა, რომელიც არის სტუმრათ და იცის რა არის ზრდილობა, მაგრამ მითხარი, დედაო, რამდენს ხანს დავრჩები მე ამ შვენიერს სახლში? დაუმატა ამ ყმაწვილმა და უნებურათ ტანში გააჟრიალა იმიტომ, რომ ამ წამში მან ჩაიხედა სარკეში და დაინახა ის ცუდი და ავა ტაროსი.

—ჯერ ამაზე ფიქრი შენთვის ადრეა, მიუგო დედამ: თითოეულს ამ სტუმართაგანს, ადრე იქნება თუ გვიან, დაუდგება დრო მგზავრობისა; მოვა უხილავი, ფრთიანი მოსამსახურე ბატონისა, დაადებს თავის უხილავ ხელს მას, ვინც უნდა წავიდეს აქედან და სამუდამოდ წაიყვანს ამ სახლიდან, მაგრამ ნუ გეშინია, ძვირფასო ჩემო შვილო, დაუმატა მან, როდესაც შენიშნა, რომ სტუდენტმა ნაღვლიანათ თავი ძირს ჩაჰკიდა: ჩვენს ბატონს ერთი კი არა, ბევრი ამისთანა სახლები აქვს. მოდი აგერ ფანჯა-

*] იხ. „მწყემსი“ № 6, 1900 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსთან და გაიხედე ამ საშინელს ბნელაში. ხედავ აგერ შორს, რამდენი ურიცხვი ცეცხლი ანათებს? იქ ისეთივე სახლებია, როგორიც ეს, რომელშიდაც ეხლა ჩვენ ვსტუმრობთ. ვინც აქ იჯერს თავს ისე, როგორც ეკადრება წესიერს კაცს, მას უხილავი მეუფის მოსამსახურე გარდაიყვანს ერთს იმა შვენიერს სახლში; მაგრამ ვინც ივიწყებს სტუმრის მოვალეობას, იმას სტოვებს ამ სახლის უფალი უყურადღებოდ ამ ბნელს უდაბნოში. ჩვენი პატრონი მდიდარი, შეძლებული და კეთილია—კეთილია განუსაზღვრელად.—მიენდევ მას, როგორც შვილი ენდობა შეყვარებულს მამას და ის არც აქ და არც იქ არ დაგტოვებს შენ,—დაუმატა ამ ქალმა, უჩვენა რა ფანჯრიდან ბნელაში, სადაც ანათებდა, როგორც ვარსკვლავები, ათასი ბრწყინვალე ცეცხლი.

ამ ყმაწვილის გული აღივსო გულწრფელი მადლობით სახლის უხილავი მეუფისადმი და მარტო იმაზე სწუხდა, რომ მას არ შეუძლია პირად მისი ნახვა და ცრემლით მადლობის შეწირვა და ფეხებზე მოხვევა.

შვენიერმა ქალმა გამოიცნო, რასაც ჰფიქრობდა მისს შვილად წოდებული.

—იცხოვრე, როგორც მას სურს, დაუმატა მან: ნურასოდეს ნუ დაივიწყებ მას, გიყვარდეს ის, ასრულე მისი ნება, შეიყვარე მისი სტუმრები, როგორც შენი ძმები, ემსახურე და შეეწიე მათ, რითაც შეგიძლია და შენ დაინახავ მას თვითონ, როდესაც მოვა დრო.

—მარა შენ თვითონ გინახავს იგი, ჰკითხა სტუდენტმა.

—აკი გითხარი მე, რომ აქ მცხოვრებთაგანს არავის ის არ უნახავს-თქო; ჩვენ ვართ მხოლოდ სტუმრები, რომელნიც ადგილს უცლით სხვა სტუმრებს, მოვედით ცოტა ხნით და წავალთ ისევ მალე და ჩვენს ადგილს სხვას დაუტოვებთ.

—შენ საიდან გაიგე ყოველივე ის, რაც მე მითხარი?

—პირველად, დაიწყო ქალმა, მე მითხრა ეს ჩემმა საკუთარმა გულმა. როგორც შენ, მეც ისე ვეძებე ის, ვისთვისაც უნდა გამომეცხადებია მადლობა, რომ მომიღეს ამ შვენიერს სახლში, გამათბეს, საჭმელ-სასმელი მომცეს და სხვა ბედნიერება; მალე ვიპოვე მე პატივცემული მოხუცი, რომელიც ცხოვრობს აქ სწორეთ იმ დროიდამ, რა დროსაც ეს სახლია აშენებული; ამ მოხუცს უნახავს პატრონი პირდაპირ და ყველას ეუბნება მის ამბავს, ვისაც კი ამისი მოსმენა სურს. აი ეს მოხუცი! აგერ მოდის ის; მე მინდა მას შენი თავი გავაცნო.

ამ დროს მოვიდა მათთან ერთი მაღალი და ყოჩაღი მოხუცი. მას ეცვა ხავერდის მოძველებული ტანისამოსი, მსგავსი მღვდლის ტანისამოსისა, ხელში ებიჯგა მსხვილი ჯოხი. მის გაშლილ შუბლზე იხატებოდა ღრმა სიბრძნე; მისი მტრედის ფერი, ჩაფიქრებული და მოწყენილი თვალები იცქირებოდნენ ალერსიანად, თოვლივით თეთრი წვერი ჰფარავდა მის მკერდს.

სტუდენტის დედად წოდებული ჯერ ემთხვია მოხუცს ხელზე და მერე უთხრა: „წმიდა მამაო, აი ჩემი შვილი; გეხვეწები შენ, ნუ დასტოვებ მაგას, როგორც მე არ დაგიტოვებივარ ჩემს სიცოცხლეში აქ; შთააგონე მას ის, რასაც მე მასწავლიდი; ნუ მიუშვებ, რომ მას გზა დაებნეს და, როდესაც დაჭკრას მისმა საათმა, მიიყვანე ის სახლის მეუფესთან; ეყავ მას მამად, დამრიგებელად და მეგობრად; ჩემი მაგიერობა გაუწიე ამას: ჩემმა საათმა მოაღწია.

—შენ იცი, უთხრა მოხუცმა, ალერსიანად ყმაწვილს, რომ მე არავის უარს არ ვეუბნები დარიგებაზე და მფარველობაზე, მაგრამ შენ ისიც იცი, რომ ყველას არ სურს ისარგებლოს ამით! იმედი მაქვს, რომ შენი შვილი შენ დაგემგვანება, მაშინ ჩვენ ერთი მეორეს არ მოვშორდებით და მე ხელიდგან ხელში გარდავსცემ მეუფის ფრთიან მოსამსახურეს.

დროა ჩვენი ერთმანეთის დაშორებისა, უთხრა ლამაზმა ქალმა სტუდენტს:—წაყევი წმიდა მამას, ერთ წამსაც ნუ მოშორდები, ის გიჩვენებს შენ ყოლისფერს, რაც აქ არის. გიყვარდეს ის და ემორჩილე მას, ჩემო შვილო! ქალს ხმა უკანკალებდა. —სტუდენტმა შენიშნა, რომ ქალს სახე საშინლად მოწყენილი ქონდა და მეტის მეტად ფერ-მიხდილი.

—მშვიდობით, უთხრა ქალმა სტუდენტს, მიაწოდა-რა ხელი, რომელიც ყინვასავით ცივი იყო.— თუ მე გიყვარვარ, გიყვარდეს და უსმინე მას, მიუთითა ხელი მოხუცზე: მშვიდობით, იყავ ბედნიერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტს ქალისთვინ ხელის მოკიდება უნდოდა, რადგან იმისი მოშორება სიკვდილივით ენანებოდა, მაგრამ ის გაქრა, სჩანს, მეუფის უხილავმა მოსამსახურემ წაიყვანა იგი.

ფრიად საწყენად და სამძიმოდ დაურჩა ამ ქალს ყმაწვილის მოშორება: — მე მიყვარდა შენი დედა და, იმედი მაქვს, ჩვენ შეიქმნებით მეგობრები. — წავიდეთ, მე შენ გიჩვენებ ყოველისფერს, რაც აქ არის: ისიამოვნე და აქე სიბრძნე და სიკეთე ამ სახლის მეუფისა. ნუ სწუხარ შენს დედაზე; მე გამიგონე და შენ იხილავ მას, როდესაც დრო მოგივა.

სტუდენტი გაჰყვა მოხუცს იმ სახლის ურიცხვ ოთახებში და გაუკვირდა სიმშვენიერე, სისუფთავე და წმიდა მოწყობილობა შენობისა. მაღალი და ბნელ-ლურჯი ფერის ოთახები ხელოვნურად იყვნენ გაკეთებულნი, კაცს ეგონებოდა, თავი ცამდი აქვსთ მიბჯენილი ოთახებსო; ეს ოთახები იყვნენ მორთულნი ოქრო და ვერცხლის ვარსკვლავებითა და მსუბუქი ღრუბლები იყვნენ დაყრილნი აქა-იქა წარჩინებული მოხელის ხელით. კედლები თითქმის არ ჩანდნენ, ლამაზად იყვნენ დაწყობილნი და მორთულნი ცოცხალი ბალახებით; ზოგი მცენარეები მთლად ყვავილებით იყო დაფარული; ზოგი ხილებით. ტოტებზე დაფრინავდნენ ფრინველები. ისეთი ლამაზი და ხელოვნური მხატვრობები იყვნენ, რომ მაოზე თვალები რჩებოდა მნახველს, შადრევანები აგრილებდნენ ჰავასა, სამსესა სუნნელებითა. იატაკი კი რბილი, ყვითელი ხალიჩებით იყო დაგებული. ისე ბევრი ოთახები იყო, რომ მათი დათვლა არ შეიძლებოდა. სწორეთ საფიქრებელი იყო, რომ ამ უწარჩინებულეს სახლს არა ჰქონდა კიდე, თუ რომ გარეთ არ ყოფილიყო ის უსაშველო ბნელი ღამე.

ყოველივე, რაც კი პატრონს გაეკეთებინა, იყო გასაკვირველათ კარგი და ამტკიცებდა მის დაუსაბამო სიბრძნეს და მის უსაზღვრო მოწყალებას, მაგრამ, ღმერთო ჩემო! როგორ საზიზღრად და უწესოდ იქცეოდნენ მასში ზოგიერთი სტუმრები!

ერთს ოთახში დიდს სუფრაზე მსხდომნი ოცამდე მოქეიფე კაცი, ძლიერ ურიგოდ იქცეოდნენ. ყმაწვილი ხან მათ შეხედავდა და ხან იმ ჭიღარა მოხუცს. ძვირფასი ღვინო იღვრებოდა სუფრაზე და იატაკზე, მოისმოდა მოქეიფეთაგან უშვერი და ბინძური სიტყვები და ყვირილი, ზოგნი მოქეიფეთაგანნი ეყარნენ სტოლ-ქვეშ, ზოგთ სასმელ-საჭმელი პირზე მოდიოდათ, მაგრამ მაინც ეპატიებოდნენ შვენიერ საჭმელებს და ძვირფას ღვინოებს.

ღმერთო ჩემო! თქვა ამ ახალგაზდა კაცმა და მოობრუნა პირი, რომ აღარ შეეხედა ამ სამწუხარო სურათისათვის და გაჩქარებით გამოვიდა იმ ოთახიდან.

— ღმერთო ჩემო! რანაირად ეწყინება ამ საზიზღარი სურათის დანახვა სახლის მეუფეს; რას იტყვის, როცა იხილავს, რომ მისი ქმნილებანი ასე უგუნურად იქცევიან.

ოჰ, სახლის პატრონი ამ სიმდიდრის უბრალოდ დაბნევაზე კი არ სწუხს, მიუგო მოხუცმა ყმაწვილს, მის სიმდიდრეს ანგარიში არა აქვს, მხოლოდ მას ეცოდება ეს უგუნურები, მას ეზარება ამათი გარყვნილი სახის შეხედვა, მათი უგუნური ლაპარაკის მოსმენა და ის, რომ ისინი ივიწყებენ სტუმრის მოვალეობას და მის ძვირფას სანოვაგეს ისინი ხმაროებენ პირუტყვთა მსგავსად.

მეორე ოთახში ყმაწვილმა უფრო საზიზღარი სურათი ნახა. სტუმრები წაჩხუბებულიყვნენ, სახლის პატრონის ვერცხლის ღრმა საინებს ესროდნენ ერთი მეორეს, მთელს ოთახში სისხლის ღვარი იდგა. უგნურები დანას უქნევდნენ ერთი მეორეს და თავს იკლავდნენ იმისთვის, რაც არც ერთს მათგანს არ ეკუთვნოდა და რისთვისაც ისინი უნდა გამოსალმებოდნენ ასრე ადრე სიცოცხლეს.

ერთს ოთახში ყმაწვილმა დაინახა ერთი საოცარი და საზიზღარი ბერი კაცი, რომლის უგუნურება წარმოუდგენელი იყო.

აკანკალებული, ძლივს სუნთქავდა, იჯდა ის კუნტულში და ცდილობდა დაეფარა გროვა ვერცხლის ჭიქებისა, თასებისა და თეფშებისა. იმას შიოდა, მაგრამ ჭამას ვიღა დაეძებდა, საბრალო ცდილობდა, რომ ეს ნივთები არავის მოეტაცნა.

— შეხედე, რა ზომამდე მიაღწევს კაცის უგუნურება, უთხრა სტუდენტს მისმა ჭაღარა თანამოგზაურმა. ხუთი წამის შემდეგ ის მოხუცი აქ არ იქნება; ის ამ ვერცხლის სტაქნებიდან და ოქროს თეფშებიდან ვერც ერთს ვერ წაიღებს; შეხედე რა ხარბის თვალებით უცქერის ის ყველას, ვინც კი მას ახლოს მიუახლოვდება, ეშინია, არვინ მიეკაროს მის საუნჯეს.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძრის კარები.

(ეზოპით)

ტყის პირას გამარტოებით
იდგა ძველს დროში ტაძარი.
ურდულ-კლიტით მაგრად ჰქონდა
ჩაკეტილი შიგნით კარი.

—

სიღარიბე კართან მიდის
და უძახის: „გამიღეო“,
მაგრამ შიგ მყოფთ შეუყვირეს:
„აქედან დაიკარგეო“.

—

შემდეგ წყნარის ნაბიჯითა
სიმშვიდე მიდის კართანა;
მაგრამ ტაძრიდგან მოესმა:
„მოიცადე ცოტა-ხანა!“

—

როს სილამაზე მივიდა
და დააკაკუნა კარი,
გამოსძახეს: „შემობრძანდი,
შენი ალაგი აქ არი“.

—

სიმდიდრე, როგორც ბატონი,
ეტლით მიბძანდა ქებული,
და როცა კარსა მიადგა,
დახვდა იგი გაღებული.

—

ამათ შემდეგ მიდის ძალა,
არვის არ ემუდარება,
თვითონ სტეხს კარს და ტაძარში
მედიდურად შებრძანდება.

—

სულ, რაც ითქვა ამ არაკში,
ცხოვრებაში ხშირად ხდება;
სადაც ნაბიჯს გადაადგამ,
ასეთი რამ წინ დაგხვდება.

ნიკ. მარსსიძე.

ახალი აშბები და შენიშვნები.

თანხმად საგუბერნიო მმართველობის დადგენილებისა, ტფილისის გუბერნიიო ქალაქებს შეეწერა სახელმწიფო გარდასახადი 134,000 მანეთი, რომელიც განაწილებულია მამულთა რაოდენობისა და დაფასების მიხედვით. ქ. ტფილისს შეაწერეს 120,714 მან., გორს—2314 მან., თელავს—2162 მან., სიღნაღს—2392 მან., დუშეთს—498 მან., ახალციხეს—2774 მ., ახალქალაქს—1286 მან. და კოჯორს—1860 მან., ხარჯის ამ ნაირად გასანაწილებლად საგუბერნიო მმართველობას მასალად ჰქონია ქალაქების დამფასებელ კომისიათა მიერ შედგენილი დაფასების ოქმები. ვინ არ იცის, თუ როგორის დაუდევრობით და მიდგომ-მოდგომით აფასებენ ხოლმე მამულებს ზოგიერთ ქალაქების კომისიის წევრნი. ამ მასალიდან სჩანს, რომ ტფილისში 9,681 მამულია, ამათში მხოლოდ 8957 მამულია, რომელსაც ხარჯი დაედება; ტფილისის ყველა მამულები დაფასებულია 58,095,440 მან.; წმინდა შემოსავალი ნაანგარიშევია 4,309,070 მანეთი. საშუალო შემოსავალი ყოველ მამულზე—464 მან.; თითო მამულზე საშუალოდ დადებულია 13 მ. $47^1/_2$ კ. გარდასახადი.

გორის მამულები, რიცხვით 1,497, დაფასებულია 1,399,491 მან., თელავისა—2061 მამული, 811,733 მანეთად. სიღნაღისა—2,869 მამული—1,212,510 მან.; დუშეთისა 474 მამული—381,834 მან., ახალციხისა 3144 მამული დაფასებული 2,283,778 მან., ახალქალაქისა—927 მამული,—906,210 მან. და კოჯრისა—93 მამული,—666,255 მან. საშუალოდ თვითოეული ხარჯ-დადებულ მამულზე მოდის ტფილისში—13 მ. $47^1/_2$ კ., გორში—1 მ. 55 კ., თელავში 1 მ. 58 კ., სიღნაღში—1 მ. 20 კ., დუშეთში—1 მან. 74 კაპ., ახალციხეში—1 მან. 43 კ., ახალქალაქში—1 მ. $66^1/_2$ კ. და კოჯორში —20 მ. 1 კ.

ყველა დასახელებულ ქალაქების მამულები დაფასებულია 66 მილიონად და შემოსავალი აღნიშნულია ორმოც და რვა მილიონად.

* *
*

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც წარსულ წელს, წელსაც ზაფხულზე ტფილისში გამართულ იქმნება საქართველოს საეკლესიოს ყველა ეპარქიათა საეკკლესიო სკოლების მასწავლებელთათვის შეერთებული საზაფხულო საპედაგოგიო კურსები, რომელსაც მოისმენს სამოცი მასწავლებელი. მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ კურსების ხელმძღვანელად დანიშნა ქართლ-კახეთის საეკკლესიო სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალყურე ბ. ნ. გ. ტატიშვილი და მის თანაშემწედ კი ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ბ. ს. მურახოვსკი. სასწავლო საგნების ხელ-მძღვანელად კურსებზე მოწვეულ იქმნენ: ბ. ტატიშვილივე—საღრმთო სჯულისა (18 გაკვეთილი), ტფილისის სასულ. სემინარიის მასწავლებელი ილია ფერაძე—რუსულის და ქართულის ენებისა და ანგარიშისა (42 გაკვეთილი), ვერის იოანნე ღვთის მეტყველის ეკკლესიის მღვდელი იოანნე მიხაილოვსკი—საეკკლესიო-სლავიანურის გალობისა (26 გაკვეთილი), ბ-ნნი მაქსიმე შარაძე და სერგი წერეთელი—საეკკლესიო ქართულის გალობისა (26 გაკვეთილი). კურსები გამართულ იქმნება ტფილისის სასულიერო სემინარიის შენობაში. კურსების გასამართად საჭირო 3,000 მანეთი უკვე გამოთხოვილ იქმნა უწმიდესის სინოდიდან.

* *
*

მაღალ ყოვლად სამღვდელო ფლაბიანემ, საქართველოს ექსარხოსმა, ლოცვა-კურთხევით დართო ნება ტფილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვარს, ბლაღოჩინს მღვდელს მამა მარკოზ ტყემალაძეს და ტფილისის სასულიერო სემინარიის და საეპარქიო დედათა სასწავლებლის ქართულის ენის მასწავლებელს ილ. ფერაძეს გამოსცენ ქართულს ენაზე ვრცელი კრებული ენის და შინაარსის მხრით საუკეთესო საეკკლესიო მოძღვრებათა და სარწმუნოება-ზნეობითის შინაარსის წერილებისა ეკკლესიებში და სკოლებში საკითხავად. ამ კრებულში დაიბ ჭდება სხვათა შორის ძველ ქართველ მქადაგებელთა ზოგიერთნი მოძღვრებანიც, რომელნიც ძველ ქართულ ხელ-ნაწერებში ბლომად მოიპოვებიან. თანამედროვე მქადაგებლებსაც შეუძლიანთ თვისი ნაწერები გამოგზავნონ კრებულში დასაბეჭდად ქ. ტფილისში, მამა მარკოზ ტყემალაძის და ან ილ. ფერაძის სახელზე.

* *
*

გაზ. „როსსია"-ს უკანასკნელ ნომერში (№ 330-ში) დასტამბულია ვრცელი წერილი ალ. ნოვიკოვისა, რომელიც ამტკიცებს, რომ აუცილებლად საჭიროა ტფილისში უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკუმი დაარსდესო.

* *
*

„ქუთაისის უწყებაში" დაბეჭდილია შემდეგი ცირკულიარი ქუთაისის გუბერნატორის გენ.-მაიორის გერშელმანისა: «ის ცნობებიდან, რომელიც მე ხელთა მაქვს, სჩანს, რომ სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ქუთაისის გუბერნიაში დაწესებულა სხვა-და-სხვა გვარი ბეგარა, რომელიც აწევს კისერზე სოფლის მცხოვრებთ ავაზაკობისა და დანაშაულობათა ასაცილებლად. სულ გუბერნიაში ათი სხვა-და-სხვა ხის ბეგარა არსებობს. მას შემდეგ რაც ქუთაისის გუბერნიაშიც დაწესდა საპოლიციო სადარაჯო, მე შესაძლებლად ვსთვლი გავანთავისუფლო მცხოვრებნი ამ ბეგარისაგან და წინადადებას ვაძლევ მაზრის უფროსთ ეხლავ მოსპონ გლეხთა გაწვევა: ა) ფოსტის დაცვისათვის საფოსტო და სასოფლო გზებზე; ბ) სასამართლო, საფოსტო და საფინანსო დარაჯობისათვის; ამ დაწესებულებათ თვითონ უნდა ჰყავდეთ საჭირო რიცხვი დარაჯებისა; გ) მონასტრების დაცვისათვის; მონასტრებსაც თავის ხარჯით უნდა ჰყავდეს დაქირავებული დარაჯები დ) სოფლებში სავაჭრო დაწესებულებათა დაცვისათვის".

* *
*

იმავე ოფიციალურ გაზეთში დასტამბულია, რომ ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქუთაისის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ამიერიდან ქუთაისში, კვირა დღეებით და უმთავრეს 12 დღესასწაულ დღეებით, სავაჭრო და სამრეწველო სადგომები იხსნებოდნენ შუადღის 12 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე; ხოლო დანარჩენ უქმე დღეებით—იხსნებოდნენ შუადღის 12 საათიდან საღამოს 6 საათამდე. ეს სავალდებულო დადგენილება არ შეეხება მხოლოდ დუქნებს, რომლებშიაც ჰყიდიან მარტო სასმელებს. მათ ვაჭრობის ნება აქვთ შუადღის 12 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

*
* *

სახალინის კუნძულზე გადასახლებულ ქართველები იტყობინებიან, რომ მათ, მთავრობის ნებართვით, განუზრახავთ დააარსონ იქ პირველ-დაწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითი ქართული სკოლა რუსულისა და ქართულის წერა-კითხვის სწავლებისათვის სახალინზე ამ ჟამად 335 ქართველი ყოფილა, ბევრი მათგანი ცოლ-შვილიანია. ამას წინად მათ უკვე გაუხსნიათ ბიბლიოთეკა სამკითხველო. სახალინელი ქართველები სთხოვენ ქართველ საზოგადოებას დახმარებას, ვისაც რით შეუძლია: ფულით, წიგნებით, დაფა-რვეულებით და სხვა. ამ ჟამად ისინი თვითონ აშენებენ სახლს, სადაც მოთავსებული იქმნება სკოლაცა და ბიბლიოთეკაც.

ვისურვოთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ არ წაუყრუოს ყური ამგვარს საგანგებო თხოვნას ცხრა მთას იქეთ გადახვეწილ ქართველთა.

ის ადრესიც: Сахалинъ, Александровскій Постъ. г-ну начальнику округа, съ передачей Александру Григорьевичу Ардишвили для грузинской читальни.

* *
*

რამდენიმე ქველ-მოქმედთ განუზრახავთ გაუმართონ დღესასწაული ტფილისის საპატიმროებში დატუსაღებულთ. ტფილისის საზოგადოება მოვალეა გაიხსენოს ამ დიდ დღეებში თავისი უბედური მოძმეები და ხელი შეუწყოს კეთილ საქმის დამწყებთ. საცოდავ პატიმრებმა მომავალი ბრწყინვალე დღესასწაულები უნდა გაატარონ არა თავის ოჯახში, თავის მახლობლებთან, არამედ დამწყვდეულებმა ოთხ კედელ-შუა; ამიტომ მათი მოგონება სავალდებულოა ყველა ქრისტიანეთათვის. შემოწირულება ფულითა და სანოვაგით მიიღება: 1) ალექსანდროვის ქუჩაზე, № 42 A, კნ. კ. ი. არლუთინსკი დოლგორუკოვისას, 2) კირჩნი ქუჩაზე, იაფ-ფასიანი ბიბლიოთეკა, ო. ვ. კაიდანოვისას და 3) რეუტოვის და ნიკოლოზის ქუჩების კუთხე № 33, მ. ი. დემურიასას.

* *
*

ჩვენ მოგვივიდა მე-II წიგნი აკაკის ჟურნალის „კრებულისა“ შემდეგის შინაარსით:

განყოფილება პირველი:

1) „გამოთხოვება“, (ლექსი) აკაკისა; 2) „თანამედროვე თავადი», ლექსი მისივე; 3) „სიტყვა, წარმოთქმული გიორგი წერეთლის საფლავზე“, მისივე; 4) «გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი“, ს. ქვარიანისა; 5) * * * ლექსი სისონა მეჩანგურესი; 6) „დამშრალი წყარო“, (ოცნება) მეგრელ-ქართველისა; 7) „ჰო, თუ არა“, ყ. ედიშერიშვილისა; 8) * * * ლექსი, თომაშვილისა; 9) „ქართველთა უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში“ (მეცნიერ მორგანის აზრი), ს. ქვარიანისა; 10) „ისტორია ქართულ გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემისა», ზ. ჭ.—სა; 11) „პროგრამმა ეთნოგრაფიულ და იურიდიულ ცნობების შესაკრებად“, დასასრული ალ. ხახანაშვილისა; 12) «ვუჯარი“, გაგრძელება ბ. კ.—ისა; 13) „კარაბადინი სამხატვრო წამლებთათვის“; განყოფილება მეორე: 1) «სოფელი წესი“ და „ხალხური“, წარმოდგენილი ივ. ჭიჭინაძისაგან; 2) „სოლომონ ბრძენი“, ხალხური ლექსი; 3) „ფშავური ლექსები“, შეკრებილი გრ. აფშინაშვილის მიერ და 4) განცხადებანი:

* *
*

„ცნობის ფურცელს“ მოჰყავს ანგარიში, თუ რამდენი დაბეჭდილა სხვა წიგნაკებთა და წიგნებთა შორის «დედა ენა», „ბუნების კარი“, „კონა“ და რუსული ენის სასწავლო წიგნები, გამოცემულნი ბ. იაკობ გოგებაშვილისაგან. ამ ანგარიშიდან ჩანს, რომ დღემდის სხვა წიგნებთა შორის ანბანი (კოკორი) გამოცემულა 60 ათაჩი ც. „კონა“ 6 ათასი, „ბუნების კარი“ 50 ათასი ც.; სულ «დედა ენა» 28 ათასი ცალი, ქართული დედანი“ 8 ათასი ცალი. ამავე ავტორისაგან გამოცემულა „რუსსკოე სლოვო“ პირველი ნაწილი 80 ათასი ცალი და მეორე ნაწილი 37 ათასი ც. სულ მარტო სახელმძღვანელო წიგნები გამოცემულა 459000 და ეხლაც იბეჭდება 24 ათასი ც. „დედაენაო“. სხვა წიგნებთა და წიგნაკებთან შეერთებით ბევრად მეტია ნახევარ მილიონზეო. ნახევარ მილიონი გასყიდული წიგნებიდან თუ მოგებას ვიანგარიშებთ 15% თითეულ წიგნზე, მაშინ 75 ათასი მანეთი დარჩებოდა. თუ ვიანგარიშებთ თითეულ ცალზე მოგებას 10%, მაშინ დარჩებოდა მოგება 50000 მანეთი, თუ მარტო 5% ვიანგარიშებთ თითეულ ცალზე, მაინც 25000 მანეთი დარჩებოდა. მართლადაც პირველი საქმეა ჩვენ ქართველებში, ვინმეს ამოდენი წიგნები გამოეცეს და ან ვინმეს შრომა ასე დაჯილდოებულიყოს. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენში ასე დიდად მიიღება 15% და 10% მოგება თითოეულ ცალზე, თორემ სხვა უცხო ენაზე გამომცემლები თითო ცალზე მარტო 5% იღებენ მოგებას, მაგრამ მაინც დიდი

მოგება შესდით, რადგან თითეული გამოცემა იბეჭდება ასი და ორასი ათასი ცალი. ჩვენში-კი თითოეული გამოცემა იბეჭდება 5—10 ათასი ც. და ამოდენი გამოცემის გასაღებაც ხშირად რამდენიმე წელიწადი გასტანს.

* * *

«ცნობის ფურცელშივე» ვკითხულობთ: გზათა სამინისტროს, რკინის გზებზე მსახურთა და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის, განუზრახავს ააგოს სადგურებზე სახლები და მისცეს იგი ქირად მუშებს და მსახურთ. როდესაც რკინის გზას დაბრუნდება დახარჯული ფული (რასაკვირველია სარგებლით) სადგომები სრულიად გადაეცემა ხსენებულ პირთ. ე. ი. რკინის გზის საკუთრებათ შეიქმნება!... მართლადაც დიდი კეთილი საქმეა!... ნამდვილი ზრუნვაა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის!..

* * *

მცხეთის ტაძრის განახლების საქმე მიუნდვიათ ხუროთ მოძღვრის კ. პ. ტატიშჩევისათვის თავდა პირველად გამოსცვლიან ტაძრის სახურავს, შემდეგკი შეუდგებიან ტაძრის შინაგან კედლების შეკეთება-განახლებას.

* * *

„ცნობის ფურცელს“ სწერენ ყვირილიდან: „ყვირილის სადგური თითქმის შუა გზაზე არის ტფილისსა და ბათუმს შორის. თვით დაბა ამის წყალობით ერთ საუკეთესო პუნქტს წარმოადგენს მიმოსვლის სიადვილის საშუალებით. რკინის გზით შეგვიძლიანთ ქუთაისი მოიაროთ დღეში სამჯერ, აგრეთვე ბათუმი და ტფილისში კი ორჯერ შეგვიძლიანთ წასვლა, გინდ დილას გინდ საღამოს. მიუხედავად ამისა დაბის მცხოვრებნი ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის წყალობით ყველაზე უარესს მდგომარეობაში ვართ ჩაცვენილნი. გაზეთები, მაგალითად, ტფილისიდან იმ დღესვე მისდით ქუთაისის მცხოვრებთ, რომელიც ბევრად უფრო შორს არიან ჩვენზე ტფილისიდან და ჩვენ კი მხოლოდ მეორე დღეს მოგვდის,—ასე რომ არხეინად შეგვიძლიანთ წაბრძანდეთ ქუთაისში, წაიკითხოთ გაზეთები და თითქმის მთელის დღით წინ შეატყობინოთ აქაურებს ამბები. გარდა ამისა გასაოცარია ის, რომ ტფილისიდან აქამომდე ბარათი უნდება ორ-სამ დღეს და ისე იქიდან ტფილისში. რითი აიხსნება ეს, ჩვენ არ ვიცით! საჭირო კია ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობა გვაქცევდეს ყურადღებას და არ გვართმევდეს ძალით იმ საშუალებას, რომელსაც გვაძლევს მდებარეობა აქაურის სადგურისა».

ამ სამწუხარო მდგომარეობის შესახებ ჩვენც გვქონდა ორიოდე სიტყვა ნათქვამი, მაგრამ მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია. ეხლა მეტი ღონე არ არის, საზოგადოებამ უნდა იჩივლოს და კანონის ძალით მოითხოვოს ის, რასაც ართმევენ. კარგი იყო, როცა დილით იგზავნებოდა ფოსტა ტფილისიდან, მაგრამ ღამით გაგზავნა ამჯობინეს, რომ ბევრი ყარაულობა დაჭირვებოდა! ფოსტამ გაგზავნოს გაზეთები და თვითონ ხელის მომწერნი მიიღებენ ფოსტიდან...

* * *

იმერეთის ეპარქიის კანცელარიის არხივში ცეცხლი გაჩნდარიყო ღამით და კინაღამ გადაიწვა, რომ დროზე არ მიშველებოდენ. გამოძიება არის.

* * *

ქუთაისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა ღვთის-მეტყველების კანდიდატმა ბელიაევმა თავი ჩამოიხრჩო ბაწრით. ბელიაევი პირველად თბილისის სემინარიაში მსახურებდა. შემდეგ გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად იყო. არ არის დიდი ხანი, გორიდან ოზურგეთის სასწავლებლის ზედამხედველად დანიშნეს და წარსულ წელში ქუთაისის სემინარიის მასწავლებლად გადმოიყვანეს. დარჩა ცოლი და ოთხი შვილი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: ქრისტე აღდგა! კ. კახიძისა.—გოლგოთამდე.—გოდება მოხუცისა, კ. კახიძისა.—შეიძლება თუ არა ლოცვით განიკურნოს სნეული?—შესანიშნავი სასტუმრო.—ტაძრის კარები (ლექსი) ნ. მარახიძისა.—ახალი ამბები და შენიშვნები.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 17 Апрѣля *1900 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.